



მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora

სამეარო სამ საურდენზე დგას: თორაზე, ღ-თის სამსახურსა და
ქველმოქმედებაზე
ზირაში ავით

მეარაული გაზეთი	"מנורה"	„МЕНОРА“
საქართველოში	עיתון יהודי	ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
MENORA	בגוריה	В ГРУЗИИ
JEWISH NEWSPAPER		
IN GEORGIA		

მარტი
(აღარი)
1-15
№5 (221)
(5766 ჟმლი)
2006 ჟული
ზასი 50 თმთრი

הנורה

13 მარტს, ორშაბათ საღამოს იწყება ებრაელთა ყველაზე მხიარული დღესასწაული – ფურიმი. 13 ადარს (13 მარტს) მინის ღვინოვანი ღვინოვანი სალოცავი უნდა მივიტანოთ სამი ნახევარმეცხლიანი მონეტა (საქართველოს მოსახლეობისათვის, – სამი ორმოცდაათ თეთრიანი მონეტა), შეიძლება დაემატოს. ამავე დღეს დღესასწაულის დაწყებამდე (ანუ საღამომდე) ესთერის მარხვას იმ სამდღიანი მარხვის სამსახურად, რომელიც ესთერმა და მორდეხაიმ გამოაცხადეს 13, 14 და 15 ნისანს, ახაშვერომის – სპარსეთის მეფის მიერ გაცემული ებრაელთა განადგურების ბრძანების გამო.

ფურიმში ოთხი მიცვა შესასრულებელი: მევილათ ესთერის მოსმენა საღამოთი და დღით, ცეცხლი მინიმუმ ორი ღარიბისათვის, ორი მზა საკვების საჩუქრად გაგზავნა მინიმუმ ერთი მეგობრისათვის (ქალი უგზავნის ქალს), სმა და მხიარულება. ამ წელს ჩვენს თვეში ორი სასიხარულო მოვლენა მოხდა – ბატონებმა თემურ იოსებაშვილმა და ბადრი პატარაყვიშვილმა ორი სეფერ თორა აჩუქეს ღვინოს. მთელი ჯამათი მხიარულობდა ამის გამო. ბედნიერი იყვენ თავად საჩუქრების გამცემნი. მე ვიცი, რომ რაც გამაჩნია, ყველაფერი გამჩენისაგანაა – გვიტხრა ბატონმა ბადრმა, და მისი საქციელი ადასტურებს ამ სიტყვებს. ვულოცავ მთელს ჩვენს თემს ფურიმის დღესასწაულს. დაე არ მოგვკლებოდეს ის სიხარული და ბედნიერება ფურიმში და მთელი წლის განმავლობაში, რაც თითოეულ ჩვენგანს ეწერა სახეზე ახალი სეფერ თორების შტრახანების დროს. კურთხეულ იყვენ ამ დიდი ბედნიერების მომნიჭებელნი! ფურიმ სამეახს!

საქართველოში მთავარი რაბინი არიელ ლევინი

აქეთ მოგვპარათ ხაზანი!

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პალესტინის ავტონომიის არჩევნებში გამარჯვებული ხამასის წარმომადგენლები მოსკოვში მიიწვია. ეს განცხადება ბოლო თვეების ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახლდათ. იმ დროს, როცა ისრაელი ხამასთან თანამშრომლობაზე უარს ამბობს, როდესაც ხამასს არა მხოლოდ ისრაელში, ევროპაშიც ტერორისტულ ორგანიზაციად თვლიან. მაშინ როცა აშშ და ევროპა ხამასს კატეგორიულ მოთხოვნას უყენებს (მათ მიერ კატეგორიულად უარყოფილს): ისრაელის სახელმწიფოს აღიარება და ტერორისტული აქტების შეწყვეტა, ახლო აღმოსავლეთის კვარტეტის ერთ-ერთი წევრი ყოველგვარი პირობის გარეშე ხამასს თავისთან იწვევს. მანამ ამ ორგანიზაციის წარმომადგენელს სანამ შეთავაზებული აქვს ავტონომიის მთავრობის ფორმირება. უფრო მეტიც – პუტინი სპეციალურად უსვამს ხაზს, რომ რუსეთი ხამასს ტერორისტულ ორგანიზაციად არ თვლის, რუსეთის პრეზიდენტის ლოკით არანაირი პირობის წაყენება საჭირო არ არის. რასაკვირველია უცნაურია, რომ პუტინის გამოცხადებულ რამდენიმე საათით ადრე რუსეთი ახლო აღმოსავლეთის კვარტეტის სხვა მონაწილეებს ეთანხმებოდა; ხამასთან ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ორგანიზაცია ისრაელის სახელმწიფოს კანონიერ არსებობას აღი-

არებს და შეწყვეტს ტერორისტულ აქტებს. თუმცა, პუტინი არ დაელოდა ხამასისგან თავისივე პირობების შესრულებას. პუტინთან ერთად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი აცხადებენ: არ ღირს ხამასს კარი მივუხუროთ, რადგან მან დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვა. რუსეთის პრეზიდენტისა და მინისტრების ამგვარი განცხადებები არალოგიურია, რადგან არასოდეს ყოფილა საუბარი ჩენეთის სეპარატივის ლიდერთა არა კრემლში, არამედ ნებისმიერ მოლაპარაკებებზე მიწვევის თაობაზე. ჩენეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი ხომ ლევიტიმურად იყო ჩენეთის არჩეული. ხოლო მეორე პრეზიდენტი, გენერალი ჯოხარ დუდაევი რუსულმა რეკეტებმა უბრალოდ განადგურეს მამინ, როცა მისი სრულყოფილიანობა კიდევ გრძელდებოდა. დასაფიქრებელია, რას ვულისხმობდა პუტინი როცა ხამასის წარმომადგენელთა კრემლში იწვევდა? რის მიღწევას ცდილობდა? რუსეთის ლიდერის ამ ნაბიჯზე დამოკიდებული არა მხოლოდ რუსეთის როლი ახლო აღმოსავლეთში, არამედ რეგიონში კონფლიქტების გაღვივება. პირველი ვარიანტი დამამშვიდებელია. არც ისრაელელები, არც ამერიკელები, არც ევროპელები ჯერ-ჯერობით არ დამსხდრან მოლაპარაკე-

ბების მაგიდასთან, რუსეთის პრეზიდენტი კი ყოველ შემთხვევაში საკუთარ თვალში და დასაველთის თვალში არაფერს რისკავს. ამასთან ერთად მხოლოდ მას შეუძლია ორგანიზაციის წარმომადგენლებს აუხსნას რას მოვლიან მათგან. თუმცა, რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი სიცილიაში ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა შეხვედრაზე ამტკიცებდა, რომ რუსეთის პოზიცია ხამასის მიერ ისრაელის აღიარება და ტერორიზმის უარყოფა – არაფრით არ განსხვავდება ალიანსის ქვეყნების პოზიციებისაგან. რუსეთი მოულოდნელად იწყებს ახლო აღმოსავლეთის მოვლენებში განსაკუთრებული როლის შესრულებას. მეორე ვარიანტი კი დამშვიდების უფლებას არ იძლევა. პუტინის ინიციატივა არ იყო შეთანხმებული კვარტეტის სხვა წევრებთან. მოსკოვში უბრალოდ გადაწყვიტეს დასაველთისთვის ინიციატივა წართმით, რომელიც ხამასის გამარჯვების შემდეგ აშკარა ჩიხში მოექცა. მოსკოვს შეუძლია საკუთარი პოზიციის განმტკიცება ავტონომიაში, მაგრამ არა რეგიონში. რუსეთის დამოუკიდებელმა ქმედებებმა ხამასთან მიმართებაში აღმოფიქრება გამოიწვია, როგორც ისრაელში, ისე დასაველეთში. ამით რუსები ხამასს არასაჭირო თავდაჯერებულობას შემატებენ. მარტივად რომ ვთქვათ, სამშვიდობო პროცესში მონაწილენი – მაშინ აბასის ჩათვლით დაიწყებენ ფიქრს იმაზე, რომ ახლო აღმოსავლეთში შეზღუდონ არა მხოლოდ ხამასის გავლენა, არამედ რუსეთისაც. ისრაელის და ვაშინგტონის რეაქციით სწორედ ეს ხდება – ძველია ენდო ქვეყნებს, რომელიც კვარტეტის მიერ გადაწყვეტილებების დეკლარაციას ახდენს. მესამე ვარიანტი – სატელევიზიო. განაცხადი გაკეთდა გაცხადებული საერთაშორისო რეაქციების დროს, მაგრამ ეს კონკრეტულ ნაბიჯებამდე არ მიგვიყვანს. ესპანეთში პუტინის პიარ კამპანია წარმატებით ჩატარდა. სრულიად შესაძლებელია, რომ პუტინის ამ წინადადებას არავითარი სერიოზული პოლიტიკური მიზანი არ ახლდეს, როგორც მოსკოვში ესმით: მაშინაც კი თუ ხამასის წევრები რუსეთის დედაქალაქში ჩაეღვენ, ამან საეჭვო რაიმე გავლენა მოახდინოს მათ პოზიციებზე. საეჭვოა გააძლიეროს კრემლის ზეგავლენა ახლო აღმოსავლეთის სიტუაციაზე. სამაგიეროდ, პროგრამა „რემი-ამი“ შესაძლებელი იქნება ყოველ დღე ისაუბრო რუსეთის პრეზიდენტის პოლიტიკური ინიციატივებზე და იმაზე თუ როგორ უმკლავდება რუსეთი ამერიკელების მიერ პროვოცირებულ სიტუაციებს. მოსკოვის ოფიციალური კომენტარი პუტინის მიწვევაზე ამგვარია: აი, თქვენ ახლო აღმოსავლეთში „დაჩქარებული დემოკრატია! თავად გაუკეთეს მას ორგანიზება, თავადვე დაუმეფს ხამასის გამარჯვება და ამის შემდეგ არ სურთ ხამასთან ლაპარაკი! ამე-

რიველთა საბედნიეროდ, რომელთაც არ ესმით ცხოვრება როგორაა მოწყობილი, მოვა ვლადიმერ ვლადიმერის ძე და ყველაფერს უცებ შემოაბრუნებს. რა საოცარიც არ უნდა იყოს წინა ორთან შედარებით, მესამე ვარიანტი შეიძლება ყველაზე ახლო აღმოჩნდეს სიმართლესთან. პუტინის წინადადებაზე დასაველთის რეაქციით გასაგებია, რომ ეს არ იყო შეთანხმებული მოქმედება ანუ საქმე გვაქვს პუტინის მრჩეველთა ტიპურ „სამინაო საქმიანობასთან“. წარმოვიდგინოთ, რომ პუტინს არაფერი უთქვამს. ვინ გაიგებდა ესპანეთში მისი ვიზიტის შესახებ რუსეთის ტელემაყურებლების გარდა? მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის დადანაშაულებას, რომ იგი მიიღებს დამოუკიდებელ გადაათამაშოს ახლო აღმოსავლეთის ბანქო (ანუ იმაში, რომ ახლა ხორციელდება მეორე ვარიანტი) – მეც არ ვეცდები. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია, აშშ-ს, მთელი დასაველთი ევროპის, ისრაელის, თუნდაც აბუ-გზენის გარეშე და მხოლოდ ხამასელებთან სეპარატიული მოლაპარაკებების გზით რეგიონში რაიმე მთავარი როლის მოპოვება შეუძლებელია. არც იმაზე ფიქრი შეიძლება, რომ რუსეთის დიპლომატიას, რომელსაც გააჩნია, ახლო აღმოსავლური გამოცდილება, ეს არ ესმის. რაღა რჩება? რჩება ტელევიზიო. რჩება სარეკლამო კამპანია, რომელიც არ მიგვიყვანს იმ შედეგამდე, რომელსაც პუტინის იმიჯ-მეიკერები ვარაუდობენ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ თუ ტერორისტების დედეგაციები მოსკოვში ჩაეღვენ, რუსეთის პოზიცია ახლო აღმოსავლეთში საკმაოდ შესუსტდება. მას ისედაც არ ჰქონდა სერიოზული პოზიციები, ახლა კი რუსეთი რისკავს დაკარგოს ის, რაც გააჩნია. გაუგებარია შეუთანხმებლობის შემთხვევაში როგორი იქნება მისი როლი კვარტეტში? როგორ განვითარდება რუსეთ-ისრაელის ურთიერთობები და რას ფიქრობს მაშინ აბასი მის ლევიტიმურ კონკურენტებზე? რუსეთში უკვე ისმის გაუანრებელი კითხვები: რატომ არ შეიძლება ლაპარაკი შამილ ბასაევიან და რატომ გამოითქვამდა რუსეთი დასაველთის ქვეყნების მიმართ აღმოფიქრებას, როდესაც ისინი იღებდნენ ჩვენ სეპარატივისტებს. მზად არის ხამასელები ტერორისტებს უშაღლეს დონეზე ესაუბროს? მითუმეტეს თვითონ ხამასი ყოველთვის მხარს უჭერდა ჩენეთში ტერორისტულ დაჯგუფებებს – და მხარდაჭერის ფაქტს არამც თუ მაღაფდა, პროპაგანდას უწევდა.

მითალი პროტინოპოპო
გაზეთი „მენორა“ – 2
16. II. 06

ფურიმის დიდი დღესასწაული

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი სამშაბათს, 14 მარტს 17 საათზე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეების დარბაზში ატარებს

ფურიმის დღესასწაულს

გვეწვევიან საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიური მისიების, ებრაელი თემის, საქართველოს ინტელიგენციის ებრაელი და ქართველი წარმომადგენლები.

და კლემანოსილებით მიმართა ახაშვეროსს:
 – ახლა ეს არის ჩემი სათხოვარი და სახვეწარი: თუ მართლა მადლი მიპოვია მეფის თვალში და ისევე სანდომიანი ვარ მისთვის, თუ მეფე ინებებს ჩემი სავედრებლის ასრულებას, ზვალავ მოვიდნენ ჩემს ნადიმზე მეფე და ჰამანი. იქნებ ზვალ მანაც შევებელო მბრძანებელს ჩემი სათქმელი.

ბუნებით ეჭვიან ახაშვეროსს თანდათან იპყრობდა მოუთმინლობა, ერთი სული ჰქონდა, ვიდრე შეიტყობდა ესთერის სურვილს და სავედრებელს, მაგრამ ამჯერადაც მეფური სულგრძელობით სძლია საკუთარ გულში აღძრულ ცდნობისწაფილს. ჰამანს კი მეფისა და დედოფლის დიალოგი შეეყარებულა უწყინარ, ღიმილის მომგერელ თამაშად უფრო ეჩვენებოდა და თავს არ იტყვიებდა მათი სიტყვების წვდომით.

იმ დღეს გახარებული და გალღობული გავიდა სასახლიდან პატივმოყვარე ჰამანი. მაგრამ როდესაც დალანდა სამეფო კარიბჭესთან მორღებანი, რომელიც არც კი შერხეულია მის დანახვამზე, თითქოს ყველაფერი შხამად ექცაო. შინ რომ მივიდა, გულამღვრეულმა შესწავლა თავის ცოლს, ზერემს და სახელეულს თვისას: მეფე უხვად მომაგებს პატივს ყველა თაყვანის მცემს, თვით დედოფალს ესთერსაც მეფესთან ერთად არაფერს მოწყვეტია თავის ნადიმზე ჩემს მეტი, ზვალავ მასთან ვარ მიწვეული მეფესთან ერთად, მაგრამ არაფერად მიჩანს ყველა ეს პატივი, ვიდრე სასახლის კარიბჭესთან ვხვდავ ებრაელ მორღებანს, მუხლს რომ არ იყრის ჩემს წინაშე. მაშინ ურჩივს ჰამანს ზერემმა, მისმა ცოლმა, და სახელეულებმა ბრძანებ, აღმართონ ამაღამ რომცდნაფრთხიანი ძელი, დილით თხოვე მეფეს ნებართვა, რომ მასზე ჩამოვიდონ მორღებანი, მერე – კი, – ჯავრამოყრილი და გულმხიარული – წადი მეფესთან ერთად ესთერის ნადიმზეო.

ჭკუაში დაუვდა ჰამანს ეს რჩევა და დაამზადებინა ძელი.

თავი მეექვსე

„იმ ღამით ძილი გაუკრთა მეფეს“, – ამბობს „მეგვილა“, – თვალში არ მოუხუტავს და, გული რომ გადაეყოლებინა, მოატანინა სამსახურო წიგნი – მატინე და უკითხავდნენ მწიგნობარნი და სამეფო კარის დრო-ჟამის მცოდნენი. წიგნში აღმოჩნდა ჩაწერილი, თუ როგორ ამხილა მორღებანი ოდესღაც ორი საჭურისი, ბიგთანა და თერემი, სამეფო ზღურბლის მცველები, რომლებიც „გაცოფდნენ“ და ახაშვეროსზე ხელის აღმართვა განიზრახეს.

მოულოდნელად ივითხა ფიქრშიწასულმა მეფემ:
 – მერე-და, რა პატივი და ჯილდო ხვდა ამისათვის მორღებანს?
 – არცა რა, – მოახსენეს დრო-ჟამის მცოდნენმა.
 სწორედ ამ მომენტში ჰამანი გამოჩნდა სამეფო სახლის გარეთა ეზოში, უთენია რომ მოეშურებოდა მეფისაგან მორღებანს ჩამოდინების ნებართვის გამოსათხოვად, – შემოვიდესო, – ბრძანა ახაშვეროსმა და, თავიანთ-სცემა არ აცალა ჰამანს, იქვე შეახალა შეკითხვა:
 – რა უნდა გავუკეთო კაცს, ვისი პატივიც სურს მეფეს?
 იფიქრა გულში ჰამანმა – ჩემს მეტს ვის იგულსსმებდაო მეფე და კიდევ უფრო გაამპარტავებულა თქვა:
 – კაცს, ვისი პატივიც ინება მეფემ, მითართვან სამეფო შესამოსელი და ის ცხენი, რომელზეც იჯდა მეფე, როცა სამეფო გვირგვინი დაადგეს თავზე...
 ამ სიტყვებზე ახაშვეროსმა თვალეები მოჭრულა და წარბები შეკრა, თუცდალა, ხმა არ გაუღია. ჰამანს კი ეს შეუმჩნეველი დარჩა და განაგრძო:
 ... იმ კაცს, შესამოსელიცა და ცხენიც მიჰგვაროს სამეფო კარის წარჩინებულმა დიდებულმა, თავისი ხელით შემოსოს და აამხედლოს მეფის ცხენზე, თავად ქვეითად წინ წარუძღვეს, გაიყვანოს ქალაქის მოედანზე და ქვეყნის გასაგონად გამოაცხადოს მის წინაშე: ასე ექცევიან კაცს, ვისი პატივიც სურს მეფეს!
 – მაშინ იქნაზე, – პირზე სიტყვის გაუცვივებლად შესტყორცნა მეფემ ჰამანს, – სასწრაფოდ აიღე შესამოსელიცა და ის ცხენიც, შენ რომ თქვი, და ასე მოექციე იუდეველ მორღებანის, სამეფო კარიბჭესთან რომ ზის ახლა, არაფერი დააკლო შენს სათქმელს!
 რას გააწყობდა ჰამანი? სიტყვა, კრინტიც არ დაუძრავს თავზარდაცემულს, აღასრულა მეფის ბრძანება. თავად ემსახურა ავაგიელი მისთვის საძულველ ებრაელ მორღებანს.
 პატივებებული დაბრუნდა მორღებანი სამეფო

კარიბჭესთან. თავნაქინდრული ჰამანი კი შინი-საკენ გაიძურწა.
 უამბო ელდანაკრავმა და გაწბილებულმა ჰამანმა ზერემს, თავის ცოლს, და მეგობრებს, ბრძენაცებლად და თავის მრჩეველებად რომ ჰყავდა შერაცხილი, ყოველივე რაც თავს გადახდა. მაშინ უთხრეს ზერემმა და სახელეულებმა: თუ მართლა იუდეველთა მოდემისაა მორღებანი, ვერ დასძლევ მას და თავად დაემხობი მის წინაშეო...
 ჯერაც ბჭობდნენ, რომ მოვიდნენ მეფის საჭურისები და დააჩქრეს ჰამანის წასვლა ესთერის ნადიმზე.

თავი მეშვიდე

და ეწვივნენ მეფე და ჰამანი ნადიმზე ესთერ დედოფალს.
 ნორწამხადარი იყო ჰამანი, გული ავს უთქვა-მდა, მაგრამ არ იმჩნევდა. ესთერის ხიბლით გატაცებულ ახაშვეროსს კი არად ჩაუვლია ავაგიელის დარღვევა.
 მორღე დღესაც მიუპოვრდა მეფემ ღვინის სისი დროს დედოფალს:
 – რაი არს შენი სათხოვარი, პირმშვიანი ესთერი? მოგეცემა შენ. – რაი არს შენი სახვეწარი? ნახეკარი სამეფოც რომ იყოს, ავისრულდება.
 წარსდგა ესთერი ახაშვეროსის წინაშე ისე, რომ მეფეს შესძლებოდა მისთვის პირდაპირ თვალში ჩახედვა და თქვა დედოფალმა.
 – თუ მადლი მიპოვია შენს თვალში, მეფევ; თუ ინებებს მეფე, რომ ჩემს სათხოვარში მომცეს ჩემი სიცოცხლე და ჩემს სავედრებელში ჩემი ერთი...
 ესთერს მღელვარებისაგან გული ყვლში ებჯინებოდა და დაღუძა. წამსვე იახრა ჰამანმა, საითაც უქცევდა დედოფალი, იქვე გაუელღა თავში – ნუთუ ესთერი ებრაელია? – და მკვდრის ფერი დაეღო სახეზე. ახაშვეროსი კი ჭმუნებით დაუდარაჯდა დედოფლის შემდგომ სათქმელს. ესთერმა განაგრძო:
 ... რადგან გაყიდული ვართ, მბრძანებელი, მეც და ჩემი ერის ამოსაწვევლად და მოსასპობად. მონებლად და მხეველებად რომ გავეყიდეო, დედადღოთ დავიდუმბდი, მაგრამ...
 და აქ ესთერმა უკვე განიკვთა პაუზა, იცოდა, როგორ მოქმედებდა მეფეზე ჰამანის ხერხი – შეთქმულებამ სიტყვის ჩამოგდებისა – და უნდოდა, ჰამანისავე ხერხით დაემხო ჰამანი.
 ... მაგრამ, – თქვა ესთერმა, – ხალხს იარაღი მისცეს ხელში, რომლის აღმართვისაც, ჩვენი ამოხოცვის შემდეგ, მეფის წინააღმდეგ აპირებენ შეთქმულები.
 – ვინ არის ის, ვინც გულში ჩაითქვა ასეთი ბოროტი ზრახვა? – ივითხა მეფემ.
 – ეს ავსული და ავეული მოძულე ჩვენ, ბოროტი ჰამანია, ავაგიელი! – გამწარებით შეჰკვილა ესთერმა.
 გაახსენდა ახაშვეროსს, დილით ჰამანს სიტყვა რომ წასცდა „სამეფო გვირგვინზე“. ახლა კი უყურებდა, როგორ მოექცა ყმა და მოეკუმა პირი მის მიერ აღზვევულ ავაგიელს, როგორ მოიერუნა დაიმფრთხალი ავი ხვედრის მოღოდინში.
 წამოდგა და განერიდა სანადიმო დარბაზს ეჭვით გულგახსნილი ახაშვეროსი, სასახლის ბაღში გავიდა გრილ ნიაზე მუხლის შესაშვრად. ჰამანი კი დაჩოქილი ვეღვრებოდა დედოფალს: შემინდე, მისხენ მეფის მძვინვარებისაგანო.
 და როცა მობრუნდა წარბეკრული და მოღრუბლული მეფე, – როგორც „მეგვილა“ ამბობს, – „აჰა, დამხობილი დახვდა ჰამანი საწოლზე, რომელზეც ესთერი იყო“.
 – ნუთუ სამეფო გვირგვინთან ერთად ცოლსაც მეცივლება და დედოფალზე ძალადობს ჩემსავე სახლში?! – მრისხანებით გამოსცრა კბილებს შორის ახაშვეროსმა.
 ის იყო, მეფეს დასცდა ეს სიტყვები და... „სახე დაუფარეს ჰამანს“.
 და თქვა საჭურისმა პარბონამ, მეფის ერთ-ერთმა კარისკაცმა:
 – აჰა ჰამანის სახლის ეზოში დგას ის ძელი, რომელიც მორღებანის, მეფეზე კარგის მოლაპარაკის ჩამოსაღრმობად მოაშხადა ჰამანმა, რომელიცდათი წყრთაა სიმაღლით.
 – სწორედ იმ ძელზე ჩამოვიდეთ ჰამანი! – ბრძანა მეფემ.
 და დიდხანს აღარ დამცხრალა რისხვა მეფისა...
 თავი მერვე

თავი მერვე

ეახლა მორღებანი მეფეს, რომელსაც გავუხდა ესთერმა, თუ რა იყო მორღებანი მისი. წაიძრო ახაშვეროსმა სამეფო ბჭვლით, ჰამანს რომ ჩამოართვა, და გადასცა მორღებანს. ხოლო ესთერმა თავისი აღმზრდელი ზედამხედველად

დაადგინა ჰამანის სახლისა, რომელიც იმ დღეს აჩუქა მეფემ დედოფალს.
 მაგრამ ცრემლი არ შემშრალა ესთერის თვალეებზე, არაფერი ახარებდა, დასცქეროდა მამამისის – აბიხაილის ნაწიქარ იასპის თვალს და ტირიდა მოთქმით მეფის წინაშეც კვლარ ფარავდა, რა ცეცხლიც უღვლდა გულში. მუხლიწორილი და პირზე დამხობილი ვეღვრებოდა ახაშვეროსს:
 – თუ მეფე ინებებს, აღასრულოს მისთვის ღირსეული სამეფო საქმე, თუ მეც მადლი მიპოვია და კვლავაც კეთილად ეჩანავარ მეფის თვალში, უკანვე იქნას გამოთხოვილი ბოროტი ჰამანის მიერ დაგზავნილი წერილები სამთავროებიდან, რომ ასცდეს ჩემს ერს ხვედრი უსამართლო და უსასტიკესი; თორემ როგორ ეუფურო უბედურებას, – მოთქვამდა ესთერი, – რაც ჩემს ერს გაუშხადა პირისხილიანმა ავაგიელმა, როგორ ვიხილო ჩემი შიშობილი ხალხისა და მამაჩემის სახლის განადგურება? უწინამც თვალეები დამთხროდეს და უდაბნოს ქარებმა მიფარონ ქვიშა ცის ქვეშე უკლად შეთხრო ჩემს ძელებს...
 გაიშვირა მეფემ კვერთხი დედოფლისაგან და წამოდგა ესთერი. და უთხრა ახაშვეროსმა ესთერ დედოფალს და ებრაელ მორღებანს:
 – ახლავე დაწერეთ ახალი წერილი; რაც გინდათ ისე დაწერეთ იუდეველთა გამო, და დაბეჭდეთ სამეფო ბეჭდით, რამეთუ არ ეგების მეფის სახელით დაწერილი წერილის უკანვე გამოთხოვა.
 იქვე იხმეს მეფის მწერლები და დაიწერა ახალი წერილი ახაშვეროსის ას ოცდაშვიდი სამთავროსათვის – თითოეულსათვის თავისი დამწერლობით და ყოველი ხალხისათვის თავის ენაზე; იუდეველთათვისაც ებრაული და მწერლობით და ებრაულ ენაზე, – რომ მეფე უფლებას აძლევს ებრალებს შეიერბინონ და დაიცვან თავი, სადაც არ უნდა იყვნენ, იარაღით გაუწიონ წინააღმდეგობა მოძალადეებს და მოსისხლეებს; დახოცონ, მოსპონ და ნადავლად წაიღონ მათი ქონება ერთი დღის მანძილზე მეთორმეტე თვის, ანუ ადარის მეცამეტე დღეს.
 დაიბეჭდა წერილები სამეფო ბეჭდით და დაიგზავნა ახაშვეროსის მიერ სამეფოში სახელმწიფო რამებზე ამხედრებულ მალემსროლ შიკრიეთა ხელთ, ხოლო ბრძანება გამოქვეყნდა შუმან-ქალაქში, სატახტოში.
 ყოფინთ შეეგებნენ მორღებანის, როცა მეფისგან გამოვიდა ლურჯ-თეთრ სამეფო შესამოსელში, ოქროს გვირგვინით, ბისონისა და ძოწული მოსასხამით.
 ხარობდა მთელი შუმან-ქალაქი. ყველგან, სადაც კი მივიდა მეფის ბრძანება, შვება და ღვინი, ზეიმი ჰქონდათ ებრაელებს, მაგრამ წინ ედგათ ბრძოლის დღე და მზადებას შეუდგნენ.
 თავი მეცხრე

როცა მოაწია მეფის ბრძანების აღსრულების ჟამმა, – მეთორმეტე თვის, ანუ ადარის მეცამეტე დღემ, – შეიერბინენ ებრაელები თავის ქალაქებში და შეიმადონ თავიანთი მოსისხლეებზე, და ყოველთვის მოხდა პირუკუ: იუდეველთა ძლევა და ამოწვევტას რომ აპირებდნენ მტრები, თავად ებრაელებმა სძლიეს და შემუსრეს მოძღვრნი. ვერავინ დაუდგა მათი წინ.
 მხარეთა მთავრებმა, მეფისნაცვლებმა, განმგებლებმა და სამეფო საქმეთა აღმსრულებლებმა პატივი მიაგესო იუდეველებს, – ამბობს „მეგვილა“, – რადგან დიდი იყო მორღეხი მეფის სასახლეში და მისწვდა მისი ამბავი ყველა სამთავროს.
 როგორც მტრებს უნდოდათ იუდეველებისადმი მოპყრობა, ისე მოექცნენ ებრაელები თავიანთი მოძულეებს – მახვილით გაწყვიტეს ისინი.
 იმავე დღეს მიუვიდა მეფეს სატახტოში დახოცილთა სია.
 უთხრა მეფე ესთერ დედოფალს:
 – ხუთასი კაცი და ჰამანის ათი ვაჟიშვილი მოსპეს იუდეველებმა. ეს მარტო შუმან-ქალაქში, რადგან იმამდნენ ისინი სხვა სამთავროებში?! – კიდევ რა სათხოვარი გაქვს, დედოფალი ესთერი? მოგეცემა შენ. – კიდევ რა არს შენი სახვეწარი? ავისრულდება.
 თქვა ესთერმა:
 – თუ მეფე ინებებს, და მეც არ ჩამითვლის დედაკაცისათვის უდიდოს სისასტიკედ, ზვალავ დაანებონ შუმანელ ებრაელებს იმის გაკეთება, რაც დღეს გააკეთეს, და ხეზე ჩამოკიდონ ჰამანის ათივე ვაჟი.
 მიუხვდა ახაშვეროსი, შორს იჭვრიტებოდა ესთერი და სამომავლო გაფრთხილებად თხოვდა უკვე დახოცილთა ხეზე ჩამოიდებას. და ბრძანა მეფემ:
 – იყოს ასე!

გამოცხადდა მეფის განკარგულება და ხეზე ჩამოკიდეს ჰამანის ათივე ვაჟიშვილი, ავაგიელები, – სატახტო შუმანში, ყველას აგან. სალანძღავად და შესახვენებლად.
 ადარის თვის მეთოთხმეტე დღეს კიდევ საამასი კაცი გაწყვიტეს იუდეველებმა შუმანში, ნადავლზე კი ხელი არ წასვლიათ.
 სამთავროებში ყველგან მედგრად იდგნენ ებრაელები თავის დასაცავად და თავად ამოხოცეს მოძულეები – სამოცდათხუთმეტი ათასი კაცი, მაგრამ ნადავლზე ხელი არ წასვლიათო, – კვლავ დაგეშით ამბობს „მეგვილა“.
 შემდგომ ორ დღეს გამარჯვებას ზემობდნენ ებრაელები ახაშვეროსის უზარმაზარ საფეოში – ინტოლიდან ქუქმდე ანუ ეთიოპიაამდე. და ჩაიწერა ეს ამბავი მიდელ და საპრესელ მეფეთა მატინეში.
 ესთერ დედოფალმა და მორღებანიმაც დაწერეს წიგნი და დაუგზავნეს ებრაელებს ყველა სამთავროში, და დაუწვსეს ყველა ახლობელსა და შორეულს, და დაუდგინეს ის, რაც მათ თვითონაც დაუდგინეს თავის თავს და თავიანთ შთამომავლობას, რომ ყოველ წელს – აწ და მარადი – ზეიმით აღენიშნათ ადარის თვის მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე დღეები, როცა ებრაელებს „გლოვა შეეცვალათ ღვინად, მწუხარება – სიხარულად“. და ეწოდებოდნენ დასასრული“ აქვს „მეგვილათ ესთერს“, მაინც შემთხვევით არ დარჩენილა ხალხში ებრაული ანდაზა: „რა ბევრნი არიან ჰამანები და მხოლოდ ერთია ფურეში!“
 თავი მეცხრე

ეპილოგი

ზოგს, ამა ამბის გამგონეს, მაინც არ ასევენებს შეკითხვა: თუკი უძალ დაისაჯა ბელშაცარი, რომელმაც თავზედურად წაიბლწა ებრაული სიწმინდენი, – იერუსალიმის ტაძრის ოქროს ჭურჭელი, – რატომდა ასცდა შურიცგება ტაძრის ოქროს ჭურჭელი, – რატომდა ასცდა შურისგება მეფე ახაშვეროსს, მანაც ხომ ისეთივე სთავებზედ ჩაიღინა?
 თითქოს, ჩიხში მომწვეველი შეკითხვაა, მაგრამ ებრაული ტრადიციით, წინასწარმეტყველთა სიტყვისამებრ, სწორედ ახაშვეროსის ძე უნდა ყოფილიყო ის, ვინც აღადგინდა უფლის ტაძარს და მართლაც, ფურემის მოვლენებიდან ერთი წლის შემდეგ, ანუ დასაბამიდან 3406 წელს, აღესულა ახაშვეროსი. ტახტზე ავიდა მისი მეგვიდრე დარიოს მეორე – შვილი ესთერისა, რომელმაც თავისი მეფობის ორი წლის შემდეგ გამოსცა ბრძანება უფლის ქალაქისა და ტაძრის აღდგენაზე. გამოხდა ზუსტად სამოცდაათი იდეალიწი წელი იერუსალიმის დახრევდინად. ახდა ირემიაჰუს და დანიელის წინასწარმეტყველებანი. ასე იყო მუდამ – ცდებოდნენ მეფენი და არა წინასწარმეტყველნი.
 ამ ფაქტითაც უკავშირდება აბიხაილის ასულის – ესთერის ნათელი სახე ებრაელთა ტრადიციულ-პეროიკულ ისტორიას.
 ჩვენს გამოთადამწერლობის ბევრი ფურცელი ძნელი წარმოსადგენია დედამიწაზე ებრაელთა დიდი მოგზაურობის თანმდევი საწაულები გარემო. შეუძლებელია მათი ახსნა უბრალო ყოფითი ლოკაციით, ზემთავიონების ჩაურევლად. ესთერისა და მორღებანის ჰოქმაში, როცა, – თალმუდის თქმით, – „შემოქმედი სამყაროსა ათასი ფარდით იყო თვალსმიფარებული“ და აღარ იგრძნობოდა ღვითური ნათელის სუფევა მისი ხალხის წიაღში, უკვე დიდი ხნის დასრულებული იყო ჟამიცხადლივი, ხილული სასწაულებისა. და მაინც, – ამბობენ სწავლულები, – ფურემის მოვლენები ისეთი შეუკალი ლოკაცია და მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია განვითარებული, ისე ძალუმად იგრძნობა მათში ერთიანი წარმმართველი ხელი, რომ ყოველივე მხოლოდ სასწაულოთ თუ აიხსნებო. ეს უკვე რწმენაა, რომელიც აგერ, თითქმის, ორი ათასოთხასი წელია არ შერყვიათ ებრაელებს და მოუშლელიად აღნიშნავენ თავიანთი სასწაულებრივი ხსნის, სიხარულით გაცისკროვნებულ ფურემის დღესასწაულს.
 და ასევე, არ წაშლილა ხსოვნა ესთერისა, რომელიც მშობლიური ხალხისათვის თავდადებისა და ეროვნული გმირობის მაგალითად რჩება თაობიდან თაობაში და, მართლა, მურტის ხის მითროლოვარე სილუეტით გამოკრთის ისტორიის დაბნეული შორეთიდან.
 მურტას ებრაულად ჰადასა ჰქვია. ესთერსაც ჰადასა ერქვა ებრაულად.

დაუსჯელობა და მოქმედება

დ-რი გერმონ ხან-ოანი (ნიშნაშვილი)

დღევანდელი გაპროტესტირებული, რუსთაველის გენი-ალური „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულად მთარგმნელს, დღემდე რომ ეცოცხლა, ახლა 72 წლის იქნებოდა, იგი 1934 წელს დაიბადა. თვითონ დიდი ხანია გამოეთხოვა ამ ქვეყანას, მაგრამ ჩვენ ისევ გაკვირვებულნი შევყურებთ ერთმანეთს: ნუთუ, ასე უდროოდ გამოგვეცალა ხელიდან ისე მოულოდნელი იყო მისი გარდაცვალება, რომ ვერც კი მოვასწარიტ მასთან გამომშვიდობება. ეს გამომშვიდობება დაიწყო 1972 წელს და ბევრი ჩვენგანის გულში ახლაც გრძელდება... იმ წელს მიუბარა მისი დაღლილი სხეული აღთქმულ მიწას.

მათ ბორის, საქართველოს და ისრაელში ახლაც ასწავლებენ მის სახელს, ლეგენდასავით მოსულს და სიზმარავით წასულს. ქართული მეფე-ლეკი ბიბლიურ მდინარეში ჩასცალე და შენც გაჰყვიე ამ მდინარეს, რათა მამა-პაპათა ძელებით მორწყული მიწა შენი ძელებითაც მოგერწყო და ამით დაგენწყარებინა შენი ბოხოქარი ნეშამა. ვინ მოიფიქრებდა, თუ ასე ნადრევიდ დაღამდებოდა შენი სიცოცხლის თვალსაწიერზე, ვინ მოიფიქრებდა, თუ სამზეო შენი სიცოცხლისასე ნადრევიდ ჩამავდებოდა, ასე ერთიანად ჩაიქცეოდა მარადისობის უძირო უფსკრულში. კიდევ კარგი, უძირო იყო უფსკრული, სადაც შენი სული მიექანებოდა — დაცემის ტკივილს ვეღარ იგრძნობდი. მაგრამ ტკივილს მაინც გრძნობდა ალბათ შენი სული იმ უკედლო და უსაყრდენო სივრცეში მიმოქცვისას, რომელშიაც ბიბლიური ნოახის

(ნოეს) მიერ გაშვებული მტრედივით ექებდა საყრდენს, მაგრამ ვერ პოულობდა. სივრცეში მოგისწრო სიკვდილმა — სიბნელეში აისროლა შენი გამომჭკნარი სხეული. შენი ძელების ტკაცა-ტკუცი ანგელოზების კვილსა ჰკავდა, მაგრამ კაცობრიობა ხომ დიდი ხანია შეეწყია კვილის ჟამს ყურებზე ხელის აფარებას. ახლა ნუღარავინ აიფარებს ყურებზე ხელს — საკმაო ხანი გავიდა იმის შემდეგ, რაც დასრულდა ტანჯვა კაცისა, რომელსაც პოეტი და ბიბლიური სიმღერა ერქვა. შენ გარდაიცვალე, ახლა რაღა ვქნათ, რა გავიხსენოთ, რა მოვთქვათ, რით მოვიოხოთ გული. როგორ ვილაპარაკოთ ჩვენ, ცოცხლებმა, როცა უკეთესი მთხრობელი გვყავდა, როცა შენი ხელით ნათარგმნი ლექსი წინასწარმეტყველთა და ბრძენთა საგალობლებს მისადაგე, გაამდიდრე ენა ჩვენი და კულტურა ჩვენი. ტკივილი არ გვაკვლდა, რად მოგვიმატე!

„ელი, ელი, ლამა ყაზავთანი...“ „უფალო, უფალო, რად მიმატოვე...“ ბევრჯერ ნაუწურ-ჩულებია შენს ნატვრადქცეულ ბაგეებს. ბევრჯერ დაუღმუვლია შენს სულს, მაგრამ ეს ღმუილი შენს დაფუტურობულ ძელებსდა ესმოდა მხოლოდ. ბევრჯერ გინდოდა რაიმე გეთქვა ჩვენთვის. რაკი უფაღმა უარი თქვა შენს მოსმენაზე, ბაგეებიც ავიჯანყდნენ და აღარ დაგემორჩილნენ. და თუ მაინც იტყოდნენ რამეს, მხოლოდ მოახლოებული სიკვდილის ენაზე, მინის სუნი რომ შემოჰქონდა შენს ოთახში. გიყურებდით და არ გვეჯეროდა. კაცი, რომელშიც ასეთი ღვთიური ნიჭი იყო ჩა-

გუბებული, ასეთი მინიერი ყოფილა თურმე! ვინ ხარ, საიდან მოხვედი და სად წახვედი... ისეთი მოვლენა იყავი, ზოგჯერ არც კი გვეჯეროდა შენი არსებობა. მაშ როგორღა დავიჯეროთ, ძმაო, სიკვდილი შენი რუსთაველი, შენ რომ სოლომონ ბრძენის ენაზე თარგმნე, ღვთაებას გაევიძრა — ძველი შექმნა ისეთი. რაკი შენ ეს ძველი ღვთაებრივ ენაზე გადაიტანე, შენი სული ამით ღმერთის საიდუმლოს აზიარე, და ალბათ, ამიტომ დაგსაჯა უფაღმა — მეტყველებაც ნაგართვა, სხეულიც, გრძნობაც, სულს შენსას სწრაფად უნდოდა ფრენა გამჭვირვალე და სურნელოვან სასუფეველში, მაგრამ ვერ შესძელი ნაჰყოლოდი შენსავე სულს, რამეთუ სიმძიმე სხეულისა უკვე დიდი ხანია დაბლა გენეოდა — მინსკენ, უფსკრულისკენ. განგებამ ნაშალა რუსთაველის ნაკვალევი, შენ კი ჩვენს თვალწინ არსებობდი. ჩვენს შორის ბოგინობდა შენი დაღენილი სული, მაგრამ უზუნაქმა შენი ნაკვალევიც ნაშალა-დაბადების და გარდაცვალების წელი ვიცით, თორემ ვინ ხარ, საიდან მოხვედი და სად წახვედი, რას მიჰქოდა შენი სული, რომელ ქარიშხალს, რომელ სივრცეს, რომელ სიცოცხლეს — კაცმა არ იცის. ვინც გიცნობდა თუ არ გიცნობდა, ვინც იცოდა შენი ღირსება და შენი ფასი, დღესაც გაფასებს, უყვარხარ, ახსოვხარ. ზოგი კადიშააც ლოცულობს ხოლმე აბის თვის 14 რიცხვში შენი სულის მოსახსენებლად. ამასწინათ გაზეთ „მაკორ რიშონის“ ფურცლებზე შესანიშნავი სტატია დაიბეჭდა შენს შესახებ.

წლებიც ბევრი გავა, საუკუნეებიც, მაგრამ ქართული ლიტერატურის და ებრაული ლიტერატურის ცაზე შენს ვარსკვლავს ჩაქრობა არ უნერია. რომ გეცოცხლა, ახლა 72 წლისა იქნებოდი, ცოცხა მეტის. როცა ეს ქვეყანა დასტოვე, 38 წლისა იყავი. რაკი სიბერე სიცოცხლეში ვერ მოგეკარა, ახლა მითუმეტეს ვერაფერს დაგაკლებს. მარადიულ ახალგაზრდად შერჩი ისტორიას. იძინე ტკბილად, ძმაო დღევანდელი ბევრი რამ დაავინყდება შენს დაღონგილებულ სულს, მაგრამ ერთი რამ მაინც არ დაავინყდება: გვიხაროდა შენი არსებობა. შენც გიხაროდა ჩვენი არსებობა. ისტორიის მესხიერებაში ასე შევერჩებით ერთმანეთს შენ და შენი მეგობრები — სიხარულის ნიშნით, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში ჩვენც ბევრი გვექონდა სანაღვლო და შენც, შემოქმედებითი სიხარული იმდენი მოგვანიჭე შენს გარშემო მყოფ ადამიანებს, რომ იგი არასოდეს არ დაამთავრდება. ეს დამშვიდობებაც არასოდეს არ დასრულდება, რადგან მიუხედავად დიდი სიშორისა, მაინც ახლოს გგონიხარ, აი აქ, სადაც ახლოს, ერთი ხელის განვდენაზე, აღთქმული ქვეყნის მზიანეთში. რა უცნაური ბედი გქონია, სიკვდილის შემდეგაც მოძრაობაში ხარ: აქამდე ჩვენს გულში სახლობდი, მომავალში კი ჩვენი შთამომავლობის გულში გადასახლები და ასე გაჰყვიე თაობიდან თაობას.

იერუშალიმი

„ძველი ტფილისის ლიტერატურული ბიბლიოთეკა“

„კინტო! ყარაჩოსელი! სშირად, კინტოსა და ყარაჩოსელს ერთმანეთში ურევენ.“
კინტო და ყარაჩოსელი სხვადასხვა ჯურის ხალხია.
კინტო — გაქსუებული, თახსირი — ერთი სიტყვით, კინტო ყარაჩოსელის გადაგვარებული მოღვაძეა.
ყარაჩოსელები — დარბაისელი, გულმართალი, პატოსანი რაინდია.
კინტო ჩიკორა კაცია, რომელშიც ვაჟკაცური ელემენტები ნაკლებადია.
ყარაჩოსელი — გარეგნულად წარმოსადგენი პიროვნებაა. მხარბეჭიანი, ბრგე და პირბუდალია.“

იოსებ ბრიშაშვილი



მიხაილ ნანიკაშვილის პიესაში ყველა გმირი ყარაჩოსელია.

ამ კოლექტივის დასს, — იოსებ გრიშაშვილის დიდებულმა წიგნმა „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბიბლიოთეკა“ აუღა ენა მსახიობებს — უმდიდრესი სასცენო ლექსივით. ეს სპექტაკლი იმის ნიშანია, რომ პიესაში წარმოდგენილია ქართული სამსახიობო კულტურის მდიდარი და მრავალმხრივი გამოცდილება. ბუნებრივი ნიჭით მადლცხებული მოყვარულთა შემოქმედება, ალბათ არა, ერთ მსახიობს შეეშურდება. შემოქმედებითი მექანიზმი და უდიდესი ხელოვნების სიყვარული — მართებულად აცოცხლებდა ამ პიესის გმირებს. ამ პიესის უმთავრესი ღირებულება ისიც არის, რომ მოყვარულთა — ყველა ასაკის პიროვნება იღებს მონაწილეობას. რამეთუ განმტკიცდეს რწმენა — სამსახიობო მოყვარულთა შესაძლებლობა. ეფექტურად წამოინება „მსახიობებს“ სილამხესა და გამბედაობას ანიჭებს. ამ სპექტაკლში მღელვარე ენება ბობოქროს. სიყვარული ლაღად შლის ფრთებს. რამეთუ ბუნებით პატოსანი და შეუპოვარი ყარაჩოსელი მოქმედებენ.

* * *

თეატრი. დრამატურგი. რეჟისორი. მხატვარი. კომპოზიტორი — აი, არასრული ნუსხა, ერთი ჩანაფიქრით შეხმატკბილებულნი თუ არიან — სპექტაკლს არაფერი დაუშავდება. და განა საოცარი არ არის, რომ სპექტაკლისთვის 36 პიროვნება ერთმუშტად შეიყრა? ამ საკრებულოში არ არსებობს პირველი თუ უკანასკნელი ყოველი პერსონაჟი, მსახიობი პირველია. ბატონ მიხაილ ნანიკაშვილს ის დიდი უსაშველოდ დიდი მონღოლება თავისივე პიესის ხორცშესხმა, რომ ითავა და ირგვლივ შემოიკრება ბიბლიის მოტივებზე, მადლობა უნდა ვუთხრათ. მინდა ქება-დიდება ვუძღვნა — შესანიშნავ პიროვნებას, საოცრად გულუხვ ადამიანს —

ალბერტ შავიცს, რომელმაც თეატრს ხელი შეუწყო, რომ თავის დარბაზში პარასკეე-შაბათს რეპეტიციები ჩატარებინა. აღსანიშნავია ისიც, რომ სცენაზე საჭირო ავეჯი და ნივთები დასის ხელითაა დამზადებული. ერთი წლის განმავლობაში არ აკლდათ დაზვა, ფიცრები, ხერხი, ჩაქუჩი, ლურსმანი... მთელმა დასმა და ალბერტ შავიცმა, უშუალოდ უძღვნა არა-ერთი ღამე — სპექტაკლის წარმატებას. პიესის დანიშნულების აზრის, ნოსტალგიის ზღვრულად გამოკვეთას. ამიტომაც არის, რომ ბნი ალბერტის უსაზღვროდ მოღვაწეობა, თეატრალურ დასთან მიზანდასახულებაცა და ფასდაუღებელიც! თეატრი ჭირნახულია და ამიტომაც, როგორც ადამიანები, ჭირში მყოფიცა და ჭირგამოვლელიც. დიდი აზრის ჩამტევი-მოცველია. ხელოვნების მიხეულ გაგებით, უშუალოდით. ძარღვიანი და ტევედია. — მიხილ ნანიკაშვილი — გამორჩეულია უბრალოებით, ერთგულებით, ყველასათვის ახლობელი და ძვირფასია. შემოქმედების უბრალოება. ფანატინში. თავდავიწყებამდე მისული სიყვარული თე-

ატრალური ხელოვნებისადმი. ყმაწვილკაცური ენერგია. დაუოკებელი სწრაფვა სცენისაკენ. * * * მსახიობის განცდას, გონების, წარმოსახვის, სიტყვის პლასტიკური და სამეტყველო საშუალება ყველა ეტაპზე — დაუზარელი, მოულოდნელი არაფერი არ უნდა იყოს! * * * მაგრამ ნებისმიერი სახელმწიფევილი თეატრი განა დაზღვეულია შეცდომებისაგან?! დროთა განმავლობაში, ყველაფერი დაიხვეწება. და, საბოლოოდ მიადევს — სასურველ-მალად ღონეს! P.S. მე, ჩესი ლეზგიშვილი, მაინც, მოხარული ვარ, რამეთუ ჩემი — სასოებით შემონახული ი. გრიშაშვილის — უბადლო წიგნი „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბიბლიოთეკა“ — სამწუხაროდ, მთლად დაფურცლა მ. ნანიკაშვილმა და თავის პიესაში „მაინც არის ხვალი“ უჩინა ბინა!.. ბედნიერი სვლა!

ჩასი ლეზგიშვილი

საპრემიერო სპექტაკლის დამთავრების შემდეგ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ლამა ჟვანიამ, სიტყვით მიმართა თეატრს, რომელსაც აქვე გთავაზობთ: — საღამო მშვიდობისა ძვირფასო მეგობრებო, უღრმესი მადლობა ასეთი სასიამოვნო სადამოსათვის. გული მწყდებაოდა, რომ დარბაზი უფრო დიდი არ იყო, რამეთუ მეტ ხალხს მიელო ეს სიამოვნება. ერთი არის კიდევ მთავარი, შეიძლება ვინმე პროფესიული თვალსაზრისით უყურებდა სპექტაკლს. შესაძლოა, პროფესიულად შეაფასოს კიდევ, რეცენზიაც დაწეროს, მაგრამ მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: საქართველო არის შორს. ძალიან შორს ამდენი წლის წინ ამოსული ადამიანები საქართველოს კულტურაზე, რომ ფიქრობენ ეს არის საქართველოს ბედნიერება! კირიათ-შარეთის სცენაზე, ცოცხლდება და შუქდება — ძველი ტფილისის ბიბლიოთეკა. ეს არის ყველაზე დიდი ბედნიერება. დიდი მადლობა ამისათვის.

რას ვპიიხულობთ

ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი

არიელ ლევინი



თეზავე

რბი გააკეთეს.

გასაგებია, რომ გამჩენმა ნუ ქნას, მთლიანად თორიდან არაა ამოშლილი მოშეს სახელი, მაგრამ დიდი ადამიანის, ბრძენის, სიტყვას ზეცაში უყურადღებოდ არ ტოვებენ. ამიტომ მოშეს სიტყვების "ამომშალე შენი წიგნიდან" გამო, თუნდაც ისინი დაკავშირებულია პირობასთან, თუ განადგურებ ებრაელ ხალხს, მისი სახელი „თეცავე“-ში არაა ნახსენები.

ის, რომ თორის ბრძენთა ლოცვას გამჩენი ასრულებს, დიდი ხანია ცნობილია. ცადივი (წმინდანი) ადგენს, გამჩენი კი ასრულებს, ასე გვეუბნებიან ჩვენი ბძენები.

უდიდესი ბრძენების აბაისა და რავას პერიოდში ცხოვრობდა ერთი სიზმრების ამხსნელი. თუ მას სიზმრის ახსნის წინ უხდინდნენ, ის კარგს უწინასწარმეტყველებდა, ხოლო თუ არა – ცუდს. აბაი ყოველთვის უხდოდა მას და კარგ ახსნასაც ღებულობდა, რაც ყოველთვის უხდებოდა კიდევაც. რავა კი არ უხდოდა სიზმრების ამხსნელს და ამიტომ ყოველთვის ცუდს უწინასწარმეტყველებდა. მასაც უხდებოდა ყველაფერი – წარუმატებლობა, სიკვდილი, სიღარიბე და სხვა.

ერთხელ სიზმრების ამხსნელს როგორღაც ის წიგნი დაუკარგდა, რომლიდანაც ახსნის სიბრძნეს სწავლობდა. რავამ აიღო წიგნი და წაიკითხა პირველი წესი – სიზმრების მისი ახსნის მიხედვით სრულდება, ე. ი. ისინი მის ამხსნელზე არიან დამოკიდებული. რავა მიხვდა საკუთარ უბედურებას და მიხვდა, რომ სიზმრების ამხსნელს ხელში ჩაიკაფა უსურვა. იგი მიხვდა, რომ ასეთი დიდი ბრძენის ნათქვამი აუცილებლად აუხდებოდა და რომში გაიტქა, მაგრამ იქ მანაც ჩაუვარდა რომის ხელისუფალთ და სიკვდილით დასაჯა. სიტყვებს კოლოსალური ძალა აქვთ. ცოტა ხნის წინათ ასეთი რამ მოთხუე: ერთ ოჯახში ერთმა ქალმა გაბრაზებულმა წამოიძახა: თქვენთან ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნია. რაბინთან კონსულტაციის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ „პატარათ კლალთ“ (წყევლის მოხსნა).

დაახლოებით 25 წლის წინათ ისრაელის ყველაზე დიდი იემივის, პონევიჩის, ხელმძღვანელს რაბი შახს, (კურთხეულია წმინდანის სახელი), ბნეი ბრაკში მენახემ ბენინმა (ის მამინ პრემიერ-მინისტრის იყო). სთხოვა, რომ იემივის თალმიდებს ისრაელის მფრინავებისათვის, რომლებიც ერავის ატომური რეაქტორის დასაბოძად მიფრინავდნენ თეპლიმი წაეკითხათ. მათ შორის იყო ისრაელის პირველი კოსმონავტი ილან რამონი, (კურთხეულია მისი სახელი). რა თქმა უნდა, თალმიდებმა ყველა ღებულობდა, რადგან ეს სახელმწიფო საიდუმლო იყო, მაგრამ მთელი გულით ლოცულობდნენ.

კვირის საკითხავი თავებს შორის „თეცავე“ ერთადერთია, რომელშიც არაა ნახსენები ჩვენი დიდი მამა მოშე რაბინი. როგორც ვილენის გაონი გვიხსნის, 7 ადარი მოშე რაბინის გარდაცვალების დღეა და ეს დღე ემთხვევა სწორედ იმ კვირას, როცა „თეცავე“-ს კითხულობენ. ამასე მიგვანიშნებს თორა, როცა არ ახსენებს მოშე რაბინს. „ბაალ ჰატურიმის“ მიხედვით კი მოშეს სახელი იმით არაა ნახსენები, რომ გამჩენმა რეაგირება მოახდინა მის სიტყვებზე: „შენ ანადგურებ ებრაელ ხალხს, მაშინ ჩემი სახელიც ამოშალე შენი წიგნიდან“ – ეს იყო მამინ, როცა ებრაელებმა ოქროს ვე-

იწყება გამჩენის მითითებით იმაზე, რომ მწიგნობრის ასანთებდა აიღონ ყველაზე სუფთა ზეიუნის ზეთი. მწიგნობრისათვის გამოდგებოდა მხოლოდ ზეთის ხილის ის ზეთი, რომელიც მიღება მისი დანაყვის შედეგად და არ შეიძლებოდა მისი წისქვილის ქვაში გატარება, იმისათვის, რომ ნალექი არ გასჩენოდა.

გამჩენს, რომელიც მთელ სამყაროს ანათებს, „მწიგნობრს“ ანთება და რისთვის სჭირდება? როცა გამჩენს ებრაელები უდაბნოში დაყავდა, ის უნათებდა ზვას, მაგრამ, როცა მათ მიშქანი (გადასატანი ტაძარი), მისი შეხინის ადგილი, ააგეს, გამჩენმა უთხრა, რომ ახლა მათ გაენათებინათ მისთვის. გამჩენს არ სურდა, რომ ებრაელებს თავი დავალებულად ეგრძნოთ და ამ გზით საშუალება მისცა გადაეხადათ ვალი. გასაგებია, რომ გამჩენს არ სჭირდება ჩვენი სინათლე.

ასევე უნდა ვიქცეოდეთ ჩვენ. ხშირად, გააკეთებს რა რაიმე სიკეთეს, ადამიანი უარს ამბობს სამაგიეროდ რაიმეს მიღებაზე. სინამდვილეში იგი არასწორად იქცევა, ანუ ადამიანი, რომელსაც ეს სიკეთე გაუკეთეს, თავს დავალებულად გრძობს და არ შეუძლია ამ ვალის გადახდა. ამიტომ, თუ ეს ადამიანი რაიმეს გვაძლევს, რომც არ გვჭირდება, უნდა ავიღოთ. ამით ის თავს დამცირებულად აღარ იგრძნობს.

ასევე საჭიროა შეგვეკლოს ადამიანის პატიება, რათა მან თავი დამსაშვედ არ იგრძნოს. ჩვენ ამას იოსებ პაცადივის სიტყვებიდან ვსწავლობთ:

„ახლა კი ნუ იდარდებთ, ... რადგანაც სარჩოსათვის გამოდგებოდა გამჩენმა თქვენს წინაშე (ეგვიპტეში) ... და არა თქვენ, რათა გაემხდარიყავით მმართველი ფარაონთან, და მთელი მისი ოჯახის და მთელი ეგვიპტის.“

გამოდის, რომ იოსები დავალებულია მძებისგან. მისი თქმით მათ გამო ამაღლდა ასე.

კვირის ამ თავში აღწერილია მთავარი ქონის საზოგადოება. ერთ-ერთ მათგანს ეფოდი ჰქვია. თორა არ აღგვიწერს მას. თორის კომენტარი რაში გვეუბნება, რომ მან ზეპირ თორაში ვერ იპოვა ეფოდის აღწერილობა, მაგრამ როგორც გული კარნახობს, ის მოგვაგონებს იმ წინსაფარს, როგორცაც წარჩინებული ფრანგი ქალბატონი ცხენზე ჯდომისას იკეთებდნენ.

გასტენინის ადმორი გვეუბნება: „წმინდა რაშიმ მთელი ცხოვრება სწმინდლემი გაატარა, მაგრამ ერთხელ ისე მოხდა, რომ მან ცხენზე ამხედრებული ფრანგი დიდგვაროვანი ქალბატონი დაინახა. მათ კოჭებად სიგარის წინსაფრები ჰქონდათ. და მხოლოდ მამინ, როცა ის ქონ გადოლის ტანსაცმელს აღწერდა, მიხვდა, თუ რატომ დაინახა მას გამჩენმა ფრანგი დიდგვაროვანი ქალბატონი. ჩვენც უნდა გვესმოდეს, რომ ყველაფერი, რაც ჩვენს ცხოვრებაში ხდება, შემთხვევითი არაა. ყველაფერი, დადებითიც და უარყოფითიც, ხდება იმისათვის, რომ ან ვისწავლოთ რაიმე სიბრძნე, ან გავუძლიოთ გამოცდას და სულიერად ავამაღლოთ.“

კაბალა: კანონი და მისტიკა ებრაულ ტრადიციაში

ალექსანდრე საფრანი

კაბალა, რომლის საგანი გახლავთ თორა, ყოველი კაცისთვის გახსნილია, რამეთუ პრაქტიკულია, მაგრამ ეს არამც და არამც არ არის „კაბალა მასით“ – შემცირებული „პრაქტიკული კაბალა“, რომელშიც ზოგჯერ ურევენ მაგიურ რიტუალებს. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის პრაქტიკული კაბალა, რამეთუ იგი გვთავაზობს ებრაული ყოფის ახსნას სხვადასხვა, ზოგჯერ განერძნობული თვალსაზრისითაც, ისევე როგორც „კაბალა იუენით“ – გონებისმიერი, ჰერმეტიკი“ კაბალა. მას მხოლოდმხოლოდ ზნეობრივი მიზანი აქვს. მთელი კაბალა გახლავთ გასულიერებული შედეგები და მუდმივად განახლებადი მოქმედება. მას არაფერი აქვს საერთო სხვა მისტიკურ მიმდინარეობათა მონოტონურ საეარჯიშოებთან და გასამეორებელ რიტუალებთან. ეს არ არის გრძობისაგან მოწყვეტილი მედიტაცია, რაც ახასიათებთ არა-ებრაულ მისტიკოსებს. საკუთარი სურვილების უკუგდების გზით ისინი ცდილობენ ჩასწვდნენ საკუთარ „მეს“ არსებობის რაობას, ხელი წაავლონ მარადიულ გაუგებებას. კონტრასტისათვის: კაბალის კაცი ეწევა თორის მედიტაციას და ამა-სწავს მკაცრად მისდევს იმას, რაც იქ წერია: „ამ მედიტაციას გვირჩევედა ისაია, მას ისურვებდა და იყენებდა დავითი. მოგვიანებით იმ კაბალისტებმა, რომლებიც პირწმინდა მედიტაციას ირჩეოდნენ, ისე როგორც რაბი აბუიეას სკოლა (მე-16 საუკ. ცვათა), განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს თორას. თორის ყოველგვარმა მედიტაციამ შემოქმედებითი მიღწევა უნდა მოგვიტანოს. მედიტაციური აზროვნება დინამიურ ქმედებას შობს. მიიჩნევენ რომ სამყაროს შექმნის წინ შემოქმედიც კი ეწეოდა თორის მედიტაციას.

რებელი სიღრმით გადაშლის „მარე ბერემითს“ – „შესაქმის ამბავს“ და „მაახე მერქავას“ – „ბორბლის ამბავს“. ესენი მეტაფიზიკის მწვერვალებად მიიჩნევიან. ყოველ ამ ამბავს „მაახეს“ („მაყავს“) ვეძახით, რაც ასევე ნიშნავს „ფაქტს“ და რამამისა და ხასილურ სწავლებათა მიხედვით, მოქმედების, პრაქტიკის გზებს მოიცავს.

კაბალის ინტელექტუალური კვლევა არ გამოდის ფიქსირებული წერტილის ფარგლებიდან, რომელიც ქმნალობასაც წარმოადგენს და საწყისსაც. ინდოელ, ბერძენ და ქრისტიან მისტიკოსთაგან განსხვავებით (მაგალითად, მაისტერ ეკპარტის სკოლა), იგი არ გამოხატავს ფარული საგნების უბრალოდ განხრევის სურვილს. ეს არის შემოქმედების მოქმედების საწყისი წერტილი, რომელიც ადამიანში გრძელდება.

ეს შორს მიმავალი თეორიები, რომელიც დაბადების ისტორიით იწყება და სამყაროს შექმნას განიხილავს, არ შეიძლება კონსოვინიას დავეუკავშიროთ, ხოლო წინასწარმეტყველ იენისციელის ზედგასთან დაკავშირებული თეორია – ლეითური შესაქმისა, რომელიც განიხილავს ურთიერთობას ღმ-თსა და ადამიანს შორის, არავითარ შემთხვევაში არ არის თეოლოგია. შესაქმისა და წრებრუნვის თეორია ყოველთვის დარჩება ბიბლიურ კონტექსტში, რადგან თორა ადამიანის ერთ ლაპარაკობს.

ამიტომ კაბალა ვერ დარჩება მხოლოდ მცირერიცხოვანი ინიცირებული ჯგუფების პეროგატივად. იუდაიზმში რელიგიურ არისტოკრატიას არ გააჩნია განსაკუთრებული მეგვიდრეობითი პრივილეგიები წინასწარმეტყველებული მოყოლებული თანამედროვე ხასიდიზმის მამების ჩათვლით ებრაული ხალხის რელიგიურ ლიდერთა. დიდი სული-

ერი და სოციალური ძალაუფლება პიროვნებათა პირადი მიღწევებითაა განპირობებული. ისინი მეგვიდრეობით არ ხდებიან ლიდერები, როცა ქონები „ქონთა თაობებს“ ასწავლიდნენ. წინასწარმეტყველნი „წინასწარმეტყველთა შვილებს“ როცა ბრძენის თავიანთ „მოსწავლეებს“ წერთნიდნენ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მომავალ თაობებს ანთავისუფლებდნენ პასუხისმგებლობის, სულიერი, ზნეობრივი განვითარებისაგან. იუდაიზმში არასოდეს არ იყო მღვდელთა კასტა – აღარაფერს ვამბობ მაგვიდრეობაზე, რომლებსაც ზებუნებრივი საიდუმლოს ფლობის პრეტენზიაც კი ჰქონდათ. ეს საიდუმლო კი მიუწვდომელი და ფარული გახლდათ სხვებისთვის. შემოქმედმა თავისი საიდუმლო ქონებას და წინასწარმეტყველებს გაანდო. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, თუ რა გზით უნდა იარონ, უნდა ჰქონდეთ მორალური კოდექსი, რომელსაც უნდა მისდიონ.

ასე რომ კაბალა ადამიანის გონებისა და მოქმედების ყველა სფეროს მოიცავს. თორა განხილია ყოველი ებრაელისათვის, ეკუთვნის ყოველ ებრაელს: „მოშემ გვიანდერმა თორა – ისრაელის თემის მეგვიდრეობა“.

თორა დიდების ტკბილ სიმღერას კანონის ვნებით აერთიანებს. მოშემ იგი დაწერა, როგორც მშვენიერი სიმღერა და გვიანდერმა, როგორც მკაცრი კანონი. იგი პოეტურია, რათა შთააგონებდეს და აღამაღლებდეს ებრაელის სულს და მისთვის მიმზიდველს ხდის კანონს.

თორაში პოეზია მჭიდროდ არის დაკავშირებული კანონთან. თალმიდის პოეტური თხრობა – აგად კანონის კომენტარებს, პალახას უკავშირდება. კაბალა მისტიკურ ფორმამაც კი – თორაში არ განაცალკევებს პოეზიასა და კანონს. კანონ-

თან ურთიერთობის, სიზუსტესა და პოეზიის სრულყოფილებაზე ზრუნვის მეოხებით პოეზია იცავს კანონის ინტერპრეტაციისაგან. თანახში (ბიბლია), თალმიდში, ზოარში, შუა საუკუნეების და უფრო გვიანდელ მისტიციზმშიც კი, ხასიდიზმში არ ავლებენ ზღვარს. ერთმანეთისაგან არ განაცალკევებენ ნაციონალურ კანონსა და პოეტურ ირაციონალიზმს შორის. მეფსალმუნე მეფე ბიბლიურ ეპოქაში ძლიერ ცდილობდა თორის ნების მთელი სიღრმით შეცნობას, თალმიდის ეპოქაში „პირველი ხასიდეი“ ფარისევლები იყვნენ. მათ მოიტანეს პალახა. უაღრესად მისტიკური პალესტინული კაბალის დამფუძნებელმა რაბი იცხაკ ლურიამ და მისი მიბაძვით ლაიდელმა რაბი შნეურ ზალმანმა – ჩვენი ეპოქის დამდგეს თავთავიანთი საკანონმდებლო კოდექსები შექმნეს. მათი მიზანი არ გახლდათ ევროპათ, ან უკუგდოთ ებრაული კანონმდებლობის კლასიკური წიგნები – პირიქით: ამ წიგნებში მეტი და მეტი ჩაღრმავება ეწადათ.

ასე რომ კაბალა არ არის კანონთა „ოფიციალური“ ორგანიზებული იუდაიზმის ოპოზიცია. კაბალა მამინაც კი არ სცილდება იუდაიზმს, როცა ძალუმს ჰქონდეს თავისი, განსხვავებული აზრი ამათუიმ საკითხზე, რამეთუ ის, ვინც მას სცილდება, ჰკარგავს ებრაულ იდენტუიკაციას. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ კაბალისტი შაბთაი ცვის (მეჩვიდმეტე საუკუნე) და აკობ ფრანკის (მეთვრამეტე საუკუნე) ბედი: პირველმა ისლამი მიიღო, მეორემ – ქრისტიანობა.

თვით გამოჩენილი კაბალისტი არი-ზალი-რაბი იცხაკ ლურიე პალახის საკითხების გასარკვევად თავის თანამედროვეს ასევე ცვათელ იოსეფ კაროს მიმართავდა. იოსებ კარო – შულხან ფარუხის ავტორი – ებრაულ კანონმდებლობაში უზა-

რმაზარი ავტორიტეტი გახლავთ. ამავე დროს დიდი მისტიკოსიც. კაბალისტები არასოდეს არ უარყოფენ პალახას, ცდილობენ საუკეთესოდ შეასრულონ იგი, მაგრამ თუ მიცვათა შესრულებაში ფორმალისაგან ამაში ორგანიზებული იუდაიზმის „გაყინვის“ საშიშროებას ხედავენ, თავს იღებენ „პასუხისმგებლობას“ მძებს შეასხეონ, დიდი თალმიდისტური პრინციპი: „რახმანა ლიბა ბაი“ „მოწყალე ღმ-თი თხოულობს, რომ ყოველ საქმეში გულიც მონაწილეობდეს“. შემოქმედი არ კმაყოფილება კანონთა გარეგნული ზედაპირული შესრულებით. კაბალისტები ებრაელებს მოუწოდებენ ჩახედონ „მიცვათა სულში, მხოლოდ სხეულს კი არ მიაქციონ ყურადღება, კანონი მის პირველწყაროსთან მიბრუნებით განაახლონ“. ასე რომ კაბალისტები არ უპირისპირდებიან კანონს, პრაქტიკით მიღებულ საკანონმდებლო მითითებებს. დიდ ყურადღებას ესწრაფვიან, ცდილობენ ადამიანს შეცნობილი ჰქონდეს როცა კანონს ასრულებს, რასაც აკეთებს.

თუ ამას მდგომარეობა თხოულობს, ისინი იმეორებენ ისრაელის წინასწარმეტყველთა მიმართულ თანამედროვეობისადმი. ვითარ წინასწარმეტყველნი არ ეურჩებოდნენ კანონს, ასევე თხოულობდნენ კაბალისტები პატიოსნურ მორჩილებას, ქაენას – აღთქმათა ერთგულ აღსრულებას ისევე როგორც მეორე ტაძრის ეპოქის კანონთა მცოდნენი „პრუმიმები“ (ფარისევლები). მისტიკოსთათვის ეს არის ცდა ერთმანეთთან შეაერთონ დი-სციპლინა, მორჩილება და აღთქმათა აღსრულების სიყვარული.

(გაგრძელება იქნება) თარგმნა მ. ბატიანიანი

ჩვენი ახლო წარსული, თანამედროვეობა რომ გვაფიქვებს...



საჩხერის „სისლის შარის“ პროცესის ბრალდებული ცხრა ებრაელი, რომლებიც ქუთაისის სასამართლომ გაამართლა. 1879 წელი

საქართველოს ებრაული რელიგიური საზოგადოება თანაგრძნობას უცხადებს ბატონ გაბრიელ ნამთალაშვილს ძმის, ცნობილი კინოოპერატორის, **ლევან ნამთალაშვილის გარდაცვალების გამო.**

საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი

საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი ავიმელეს როზენბლატი

უკ-ი გვაცხოვრებს:

ევრ-აზიის ებრაელობამ ისლამურ სამყაროში ახალი პარტნიორი შეიძინა რუსეთის მუფთის საბჭოს თავმჯდომარემ შეიხმა რაჰილ გაინუტლინმა მოსკოვის რეზიდენციაში კონტინენტის დიდი ებრაული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ევრ-აზიის ებრაული კონგრესის (ეაეკ) პრეზიდენტი ალექსანდრე მაშვენი მიიღო.

შეხვედრისას განხილულ იქნა აქტუალური საკითხი: იუდეურ-ისლამური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციაში და დსთ ქვეყნებში, ეროვნული უმცირესობის საერთო თავისებურებანი, ტრადიციული კონფესიის როლი პოლიტიკურ ექსტრემიზმთან ბრძოლაში, აგრეთვე რუსეთის მუსლიმთა მონაწილეობის გამოცდილება უინოშორის და რელიგიათშორის დიალოგში.

– მოხარული ვარ, რომ შეიხ გაინუტლინის და მისი ხელმძღვანელობით რუსეთის მრავალმილიონიან მუსლიმთა სახით ევრ-აზიის ებრაელობამ ისლამურ სამყაროში ახალი პარტნიორი შეიძინა – განუცხადა ა. მაშვენიმ ურნალისტებს მოლაპარაკების დამთავრებისთანავე – ისინი მტკიცედ კიცხავენ ტერორიზმის ნებისმიერ გამოვლინებას, ოხაიბუნ პრინციპებს ერთა მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებზე და კონფესიათა დიალოგზე.

– ჩვენს მუშაობაში გამოვდივართ ნაციონალური პრინციპიდან: „არ დაზიანო“, როგორც ტოლერანტობის განვითარების საყრდენი, – თქვა შეიხმა, ამასთან დაამატა, რომ უახლოეს პერიოდში ეაეკ-თან ერთად მოსკოვში გაიმართება ფორუმი თემაზე: ისლამი და იუდაიზმი: დიალოგის და თანამშრომლობის გზა.

ოდესმე აღვინიშნავთ ფურბი ქაშერ რესტორანში?

ჩესტრანი „ძმათა“ (რესტორანის ქ. №25) თქვენთვის ანცდს საუფრიმ სავანაჯარდ სარამს

თქვენ შეგიძლიათ რესტორანში მოხვიდეთ მთელი ოჯახით (კარნავალზე შესასვლელი ბილეთის ფასი 10 ლარი), მეგობრებით, დაუკვეთოთ სასურველი კერძები.

თქვენთვის დაუკრავენ, იმღერებენ და იცეკვებენ პროფესიონალი მსახიობები. გათამამდება ლატარია-შეიძლება მოიგოთ ყიდევ. სატამოს წამყვანია საქართველოს დამსახურებული არტისტი გია ფარადაშვილი.

მაგიდების წინასწარი დაკვეთა ტელეფონით:
 893 41 00 02 ოთარი
 899 57 08 20 შალვა